

პრძანება

19 თებერვალი 2018 წ.

თბილისი

№ 114/03

ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტებისთვის: მარია კატარჟინა ოკონსკასა და ვერონიკა მარია კამიენიეჩკასთვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მინიჭებისა და მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე გაცვლითი პერიოდის ვადით ჩარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3⁴⁵, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 49²-ემუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის ირინა კაპეტივაძის 2018 წლის 07 თებერვლის N 133418 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტის (პოლონეთი) მედიცინის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტები: მარია კატარჟინა ოკონსკა (პოლონეთის მოქალაქე, სტუდენტის ცნობა No: 50403) და ვერონიკა მარია კამიენიეჩკა (პოლონეთის მოქალაქე, სტუდენტის ცნობა No: 50205), ერაზმუს+ -ის უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამაში ერთი სემესტრით მონაწილეობის გამო, ჩარიცხოს როგორც გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტები თსსუ მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე და მიენიჭოს სწავლის უფლება გაცვლითი პერიოდის ვადით 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, და თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურას.
3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს ხ. თოდაძეს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს ი. კაპეტივაძეს, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორის

რექტორი